# ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
# NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

## სარჩევი:

1. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები;
2. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები;
3. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები;
4. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები;
5. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები;
6. „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები;
7. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები;
8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები;
9. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები;
10. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N520 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები;
11. „შრომით იმიგრანტსა და თვითდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N70 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

*„2026 წლის სექტემბრის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."*

## „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 25 ივნისს ცვლილება შევიდა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონში. კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ცვლილების მიხედვით, კანონის $8^3$ მუხლის 1-ლი პუნქტი მოდიფიცირდა. კერძოდ, წინამდებარე კანონი კრძალავს აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის შესახებ რეკლამის რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გავრცელებას. კანონის მე-$8^3$ მუხლი კი განსაზღვრავს ამ წესიდან გამონაკლისებს.

კანონში შესული ცვლილების მიხედვით უფრო ფართოდ განისაზღვრა გამონაკლისთა რიცხვი, კერძოდ მათ შორის (თუმცა არამხოლოდ) გამონაკლისად მიიჩნევა რეკლამები, რომლებიც ვრცელდება იმ ვებგვერდზე განთავსებით, რომელზედაც დაშვებულია სისტემურ- ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზება, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზება, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება.

## „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 25 ივნისს ცვლილება შევიდა „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლში. კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებამდე რედაქცია საქართველოს პარლამენტს ანიჭებდა უფლებამოსილებას გადაეწყვიტა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება (რომელიც ხორციელდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ).

ცვლილების მიხედვით, პარლამენტს შეუწყდა აღნიშნული უფლებამოსილება და განისაზღვრა, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების აუდიტს ატარებს სახელწმიფო აუდიტის სამსახური „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

უცვლელად დარჩა მარეგულირებელი ორგანოს ვალდებულება ყოველწლიურად მოამზადოს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში და ჩაატაროს ხარჯებისა და ბუღალტერიის ანგარიშების ფინანსური აუდიტი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე, უცვლელად დარჩა მარეგულირებელი ორგანოს ვალდებულება, საჯაროდ გამოაქვეყნოს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში და ფინანსური აუდიტის შედეგები.

## „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 25 ივნისს ცვლილებები შევიდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ცვლილებების მიხედვით კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამდებობის პირებს. ახალი რედაქციით თანამდებობის პირებად დამატებით განისაზღვრნენ გენერალური აუდიტორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, მეორადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელები და პრეზიდიუმის წევრები.

მე-14 მუხლში განისაზღვრა შემდეგი ცვლილებები:

1. მე-14 მუხლის მე-5 პუნქტში განისაზღვრა პარლამენტის წევრობის კანდიდატის უფლება გამარტივებული ფორმის დეკლარაციის შევსება და წარდგინება განახორციელოს ელექტრონული ფორმით.
2. მე-14 მუხლს დაემატა ახალი $5^5$ პუნქტი, რომლის მიხედვითაც გენერალური აუდიტორი უფლებამოსილია ობიექტური გარემოებების არსებობისას მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დეკლარაციის შესავსებად კანონით განსაზღვრული ვადის არაუმეტეს 1 თვით გაგრძელების ან განსაზღვრის შესახებ.
3. მე-14 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: განისაზღვრა დეკლარაციის გამოქვეყნების ვადა- 2 თვე. ასევე, ხარვეზზე მითითების ერთთვიანი პერიოდი შეიცვალა „არაუმეტეს 1 თვის ვადით“. ახალი რედაქციით დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა დაუშვებელია დეკლარაციის გამოქვეყნებამდე. სიტყვა „პირი“ შეიცვალა სიტყვებით „თანამდებობის პირი“. პასუხისმგებლობისა და კანდიდატების გამონაკლისის შესახებ ნორმები უცვლელია.

ცვლილებები შევიდა ასევე, მე-$18^1$ მუხლში, რომლიდანაც ამოღებულია დეკლარაციის უარყოფითად შეფასების ერთ-ერთი საფუძველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარუდგენლობა.

ახალი რედაქციით დეკლარაცია უარყოფითად ფასდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემების არსებობა;
- ამ კანონთან ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შეუსაბამო მონაცემის არსებობა.

მე-20 მუხლს დაემატა $1^4$ პუნქტი - ამ პუნქტით, თუ თანამდებობის პირი დეკლარაციის მონიტორინგის პროცესში არ წარადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, ან არასრულად წარადგენს, ის ჯარიმდება 1 000 ლარით. ამის შესახებ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი- განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ.

## „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 25 ივნისის კანონით ცვლილებები შევიდა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ცვლილებით შემოღებულია ახალი სანებართვო საქმიანობა: სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ონლაინ) აზარტული და მომგებიანი თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება, რომელშიც საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობა დაუშვებელია.

ცვლილებების მიხედვით მე-3 მუხლში- ტერმინთა განმარტებაში- განისაზღვრა შემდეგი ტერმინები:

- „$ა^3$“ ქვეპუნქტით განისაზღვრა სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება, რომელიც მოიცავს ამ

კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართვას. აღნიშნულში მონაწილეობა არ არის დასაშვები საქართველოს მოქალაქეებისთვის.

- <u>სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება</u> - სამორინეში დაშვებული აზარტული თამაშობების ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართვა, სადაც მონაწილეობა არ არის დასაშვები საქართველოს მოქალაქეებისთვის;
- <u>სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება -</u> სათამაშო აპარატების სალონში დაშვებული აზარტული თამაშობების ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართვა, სადაც მონაწილეობა არ არის დასაშვები საქართველოს მოქალაქეებისთვის;
- <u>სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება</u> - ტოტალიზატორში დაშვებული მომგებიანი თამაშობების ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართვა, სადაც მონაწილეობა არ არის დასაშვები საქართველოს მოქალაქეებისთვის;

ცვლილებები ასევე შევიდა მე-11 მუხლში, რომელიც ეხება ნებართვების გაცემას დაქვემდებარებული საქმიანობის განსაზღვრას წინამდებარე კანონის მიზნებისთვის. პირველ პუნქტს დაემატა სამი ახალი ნებართვა: სამორინის („გ[1]“), ტოტალიზატორის („ე[1]“) და სათამაშო აპარატების („ზ[1]“) თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით საერთაშორისო ორგანიზება. საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა გაიცემა შესაბამისი ფიზიკური ობიექტის (სამორინის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის) მოწყობის ნებართვის გარეშე.

ცვლილებით, ასევე, შეიცვალა ინტერნეტდომენების რაოდენობა: ძველი რედაქციით 1 ნებართვით დასაშვები იყო არაუმეტეს 2 ინტერნეტდომენი: ერთი საქართველოს მოქალაქეებისთვის, მეორე - უცხოელებისთვის. ახალი რედაქციით როგორც ჩვეულებრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზების თითოეული ნებართვით დასაშვებია მხოლოდ 1 ინტერნეტდომენი. შესაბამისად, ამოღებულია დომენების მოქალაქეობის მიხედვით გამიჯვნის წესი.

მე-12 მუხლში - 1[3] პუნქტით დადგენილი აკრძალვა (წესით გაუთვალისწინებელი თამაშობის გამართვა) გავრცელდა საერთაშორისო ტოტალიზატორის ნებართვაზეც. დაემატა 1[4] პუნქტი, რომლის მიხედვითაც სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა შემოსავლების სამსახურს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგინოს ამ მუხლის 1[2] პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტები, გარდა იმავე პუნქტის „ა.დ“ და „ა.მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა. ამასთანავე, თამაშობის ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენილ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობის წესში მითითებული უნდა იყოს თამაშობისთვის განკუთვნილი ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი, დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი. აღნიშნულ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე მითითებული უნდა იყოს თამაშობის ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, შესაბამისი

ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია საქართველოს მოქალაქის და 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ.

მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულება (თამაშობის წესში ცვლილებისას შემოსავლების სამსახურის თანხმობის მიღება ან ინფორმირება) გავრცელდა საერთაშორისო ტოტალიზატორის ნებართვის მფლობელზეც.

16[1] მუხლით მთავრობისა და ფინანსთა მინისტრის უფლებამოსილება, დაადგინონ დამატებითი პირობები და სტანდარტები მომგებიანი თამაშობების მოწყობის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების/ ნებართვების გაცემის შესახებ, გავრცელდა საერთაშორისო ტოტალიზატორზეც.

მე-19 მუხლს დაემატა 1[4] პუნქტი, რომელიც ადგენს საერთაშორისო სამორინის ნებართვისთვის წარსადგენ დოკუმენტებს. კერძოდ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა შემოსავლების სამსახურს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგინოს ამ მუხლის 1[3] პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია / დოკუმენტები, გარდა იმავე პუნქტის „ა.დ“ და „ა.მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა. ამასთანავე, თამაშობის ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენილ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობის წესში მითითებული უნდა იყოს თამაშობისთვის განკუთვნილი ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი, დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი. აღნიშნულ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე მითითებული უნდა იყოს თამაშობის ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, შესაბამისი ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია საქართველოს მოქალაქის და 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ.

20[1] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ვალდებულებები (სალაროს მოწყობისა და არსებითი პროდუქციის ცვლილების შესახებ ინფორმირება) გავრცელდა საერთაშორისო სამორინისა და სათამაშო აპარატების ნებართვის მფლობელებზე.

32-ე მუხლს დაემატა 2[1] პუნქტი. ამ პუნქტით საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის მფლობელს ეკრძალება საქართველოს მოქალაქის თამაშობაში მონაწილეობისთვის დაშვება.

ცვლილებით საერთაშორისო ორგანიზების ნებართვის მფლობელს სანებართვო პირობების დარღვევისთვის ეკისრება ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვისაც ჯარიმა 20 000 ლარია.

## „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 24 და 25 ივნისს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა. 25 ივნისის ერთ-ერთი ცვლილება ამოქმედდება 2027 წლის 31 მარტიდან, დანარჩენი ცვლილებები კი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2026 წლის 24 ივნისის ცვლილებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს იმ სუბიექტებსა და საქმიანობებს, რომლებზეც კანონის მოქმედება არ ვრცელდება. ცვლილებით აღნიშნულ ჩამონათვალს დაემატა ტყის მართვის ორგანოს მიერ ხეტყის

დამზადების მიზნით ჩატარებული აუქციონის შედეგად ხე-ტყის დამზადების უფლების მინიჭება.

ასევე შეიცვალა 2023 წლის 30 ივნისს მიღებული ცვლილების ამოქმედების ვადა. აღნიშნული ცვლილებით კანონის 24-ე მუხლს ემატება ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებართვა, ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვა და ზედაპირული წყლის ობიექტით წყალსარგებლობის კომბინირებული ნებართვა ($4^1$-$4^3$ პუნქტები). ცვლილებამდე ეს დებულებები 2026 წლის 1 სექტემბრიდან უნდა ამოქმედებულიყო, ახალი ვადის თანახმად კი ისინი 2027 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება.

2026 წლის 25 ივნისის ერთ-ერთი ცვლილებით კანონის მე-6 მუხლს, რომელიც ლიცენზიის სახეებს ჩამოთვლის, დაემატა $3^2$ პუნქტი, რომლითაც დაწესდა საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდისა, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზია. ეს ცვლილება ამოქმედდება 2027 წლის 31 მარტიდან.

2026 წლის 25 ივნისის მეორე ცვლილებით კანონის 24-ე მუხლს, რომელიც ნებართვის სახეებს ჩამოთვლის, ნებართვის სამი ახალი სახე დაემატა:

ა) სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა ($37^4$ პუნქტი);

ბ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა ($38^2$ პუნქტი);

გ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა ($39^2$ პუნქტი).

ამავე ცვლილებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი. პუნქტის თანახმად, თუ ნებართვის მფლობელი პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად დადგენილ ვადაში არ შეასრულებს სანებართვო პირობებს, დაკისრებული ჯარიმა სამმაგდება. ეს წესი არ ვრცელდება სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევაზე აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვების მფლობელების მიმართ.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 34-ე მუხლის $4^1$ პუნქტიც. მისი თანახმად, თუ ნებართვის მფლობელმა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის $37^1$ მუხლის „ბ“, „დ“, „ვ“, „თ“, „კ“, „ო“, „ჟ“, „ს“ ან „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების მიუხედავად არ შეასრულა სანებართვო პირობები, ნებართვის გამცემი ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. ცვლილებით ამ ჩამონათვალს $37^1$ მუხლის „უ“ ქვეპუნქტი დაემატა.

## „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 24 ივნისს „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შევიდა. ცვლილება კანონში ამოქმედდა 2026 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო გარდამავალი დებულებები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ცვლილებით კანონის მე-13 მუხლს დაემატა მე-6 - მე-10 პუნქტები, რომლებიც პირველად ითვალისწინებს პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც განაცხადი პრიორიტეტის მოთხოვნისთვის დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი. პრიორიტეტის უფლების აღდგენა დასაშვებია, თუ განმცხადებელმა განაცხადი საქპატენტში შეიტანა და აღდგენის მოთხოვნა წარადგინა პრიორიტეტის მოთხოვნის 6-თვიანი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა, მოთხოვნაში მიუთითა ვადის დარღვევის მიზეზი და დამადასტურებელი მტკიცებულება

და დადგინდება, რომ ვადა სათანადო ზომების მიღების მიუხედავად ან უნებლიედ დაირღვა.

საქპატენტი მოთხოვნას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. საფასური გადაიხდება მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა განუხილველი რჩება. განმცხადებელს მოთხოვნაზე უარი არ შეიძლება ეთქვას საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

კანონს დაემატა 28[1] მუხლი, აწესრიგებს იმ შემთხვევებს, როდესაც დიზაინის რეგისტრაცია რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის გადაუხდელობის გამო გაუქმდა. რეგისტრაციის აღდგენა დასაშვებია, თუ მფლობელი მოთხოვნას საქპატენტს წარუდგენს, მასში მიუთითებს ვადის დარღვევის მიზეზსა და დამადასტურებელ მტკიცებულებას და დადგინდება, რომ ვადა სათანადო ზომების მიღების მიუხედავად ან უნებლიედ დაირღვა. მოთხოვნა უნდა წარედგინოს შემდეგი ვადებიდან იმ ვადაში, რომელიც უფრო ადრე ამოიწურება:

ა) 2 თვის ვადაში იმ მიზეზის აღმოფხვრიდან, რომელმაც ვადის დარღვევა გამოიწვია;

ბ) 12 თვის ვადაში რეგისტრაციის მოქმედების ვადის საფასურის გადახდისთვის დადგენილი 6-თვიანი დამატებითი ვადის გასვლიდან.

დიზაინის რეგისტრაციის აღდგენის შესახებ ინფორმაცია შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

ამავე ცვლილებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ცვლილებამდე, თუ მფლობელი რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 6 თვეში არ გადაიხდიდა შემდგომი პერიოდის საფასურს, რეგისტრაცია უქმდებოდა აღდგენის უფლების გარეშე. ახალი რედაქციიდან ეს დათქმა ამოღებულია და რეგისტრაციის აღდგენა 28[1] მუხლით დადგენილი წესით გახდა შესაძლებელი.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 23-ე მუხლის პირველი პუნქტიც, რომლითაც იმ მოქმედებების ჩამონათვალს, რომელთათვისაც საფასური გადაიხდება, დაემატა პრიორიტეტის უფლების აღდგენა და მფლობელის უფლების აღდგენა. 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქციით კი საერთაშორისო დიზაინზე გავრცელებული მუხლების ჩამონათვალს 28[1] მუხლი დაემატა.

ცვლილება ავალდებულებს საქართველოს მთავრობასა და საქპატენტს, 2026 წლის 1 სექტემბრამდე შესაბამისად საფასურების შესახებ დადგენილება და დიზაინის რეგისტრაციის ინსტრუქცია ამ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

## „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 25 ივნისს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შევიდა. ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ცვლილებით გრანტის გამცემთა და გრანტის მიმღებთა წრეს დაემატა საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“. კერძოდ, მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც ფონდი გრანტის გამცემი შეიძლება იყოს, როდესაც გრანტს საწესდებო მიზნების განსახორციელებლად გასცემს. ამავე დროს, მე-4 მუხლს დაემატა „მ“ ქვეპუნქტი, რომლითაც ფონდი გრანტის მიმღებად განისაზღვრა საწესდებო მიზნების განსახორციელებლად მიღებული გრანტის შემთხვევაში.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც სამეწარმეო მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები

გრანტად არ მიიჩნევა. ცვლილებამდე ამ წესიდან გამონაკლისი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირისთვის გადაცემული სახსრები იყო. ახალი რედაქციით გამონაკლისი ვრცელდება ასევე სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ გაცემულ და ფონდისთვის გადაცემულ სახსრებზე.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 5[1] მუხლის მე-2 პუნქტიც, რომელიც გრანტის გაცემაზე საქართველოს მთავრობის ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობის მიღების წესს აწესრიგებს. თანხმობის მისაღებად წერილობითი ხელშეკრულების პროექტის წარდგენის ვალდებულება და დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნა ცვლილებამდე, გრანტის გამცემის გარდა, მე-4 მუხლის „გ“ ან „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ გრანტის მიმღებებზე ვრცელდებოდა. ცვლილებით ეს ვალდებულება „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მიმღებზეც, ანუ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდზე“ გავრცელდა.

## საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 24 ივნისს ცვლილებები შევიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ცვლილებები ამოქმედდა 2026 წლის 1 აგვისტოდან.

ცვლილებების მიხედვით კანონს დაემატა ახალი გამარტივებული წარმოების სახე - კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული უფლების დაცვის დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების განხილვის გამარტივებული წესი. აღნიშნული წესის ფარგლებში განისაზღვრა კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული საავიაციო ობიექტების მიმართ დროებითი უზრუნველყოფის განხილვის წესი. დროებითი ღონისძიებები მოიცავს:

1. საავიაციო ობიექტის შენარჩუნებას, მისი ღირებულების შენარჩუნების ჩათვლით;
2. საავიაციო ობიექტის მფლობელობაში გადაცემას ან შესანახად გადაცემას ან მიბარებას;
3. საავიაციო ობიექტის გადაადგილების აკრძალვას;
4. საავიაციო ობიექტის იჯარით გადაცემას ან საავიაციო ობიექტისა და მისგან მიღებული შემოსავლის მართვას, თუ ეს გათვალისწინებული არ არის სხვა დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებებით;
5. საავიაციო ობიექტის გასხვისებას და მისი გასხვისებით მიღებული შემოსავლის განაწილებას, თუ ამაზე არსებობს შეთანხმება კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრულ კრედიტორსა და მოვალეს შორის;
6. საავიაციო ობიექტის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებას და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას.

დაცვის დროებითი უზრუნველყოფის თაობაზე სასამართლო გამოსცემს ბრძანებას, რომელიც მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 16 სექტემბერს ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. კანონი ამოქმედდა 2026 წლის 15 ოქტომბრიდან.

ცვლილებების მიხედვით, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი თავი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საპენსიო ფონდის მიერ, მის მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისგან ინფორმაციის გამოთხოვის სპეციალური წესს -

იმ შემთხვევაში თუ ასეთ ინფორმაციას ნებაყოფლობით არ აწვდის სუბიექტი - ბანკი, დამსაქმებელი, დაგროვებითი პენსიის სისტემის მონაწილე პირი, და სხვა.

კერძოდ, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტითა და $37^5$ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, დამსაქმებლის (მისი უფლებამონაცვლის) შემოწმებისას ამ შემოწმების ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საპენსიო ფონდი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს კომერციული ბანკის, დამსაქმებლის (მისი უფლებამონაცვლის), მონაწილის, პენსიის მიმღების, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების შესახებ შუამდგომლობით, თუ საქართველოს საპენსიო ფონდმა შესაბამის პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მოსთხოვა ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა.

კომერციული ბანკის, დამსაქმებლის (მისი უფლებამონაცვლის), მონაწილის, პენსიის მიმღების, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ საქართველოს საპენსიო ფონდისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების შესახებ ბრძანებას გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს საპენსიო ფონდის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა მიეთითოს:

ა) იმ პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღებასაც ითხოვს საქართველოს საპენსიო ფონდი;
ბ) ის კომერციული ბანკი, დამსაქმებელი (მისი უფლებამონაცვლე), მონაწილე, პენსიის მიმღები, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრე, რომლისგანაც საქართველოს საპენსიო ფონდმა უნდა მიიღოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
გ) საქართველოს საპენსიო ფონდის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის აღწერა;
დ) საქართველოს საპენსიო ფონდის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების ფორმა და ვადა.

ცვლილებით ასევე განისაზღვრა კომერციული ბანკის, დამსაქმებლის (მისი უფლებამონაცვლის), მონაწილის, პენსიის მიმღების, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის ან სხვა პირის მიერ საქართველოს საპენსიო ფონდისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების შესახებ მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი. კერძოდ, მოსამართლე საქართველოს საპენსიო ფონდის შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანებას გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში. მოსამართლე საქართველოს საპენსიო ფონდის შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე. საქართველოს საპენსიო ფონდის შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება საქართველოს საპენსიო ფონდს, მეორე - შესაბამის პირს, კომერციულ ბანკს, დამსაქმებელს (მის უფლებამონაცვლეს), მონაწილეს, პენსიის მიმღებს, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეს ან სხვა პირს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ამ ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას. მოსამართლის

ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან 10 დღის ვადაში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### "საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N520 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 9 ივლისს ცვლილებები შევიდა „საქართველოს ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N520 დადგენილებაში.

კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, თუ პირი არ საჭიროებს შრომითი საქმიანობის უფლებას, შრომითი ბინადრობის ნებართვის განაცხადთან ერთად უნდა წარადგინოს ისეთი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს შრომითი საქმიანობის უფლების არქონას.

საწარმოს, რომელსაც არ ჰყავს დასაქმებული 3 უცხოელზე მეტი და მისი რეგისტრაციიდან გასულია არაუმეტეს 3 თვე, ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა წარდგენის ვალდებულება არ გააჩნია.

იმ შემთხვევაში, როდესაც შრომითი ბინადრობის ნებართვა მოთხოვნილია საზოგადოებრივი დაინტერესების პირის ხელმძღვანელობითი, მმართველობითი ან აუდიტის კომიტეტში საქმიანობის მიზნით, ბინადრობის ნებართვის განაცხადის ფარგლებში სავალდებულოა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ანგარიშგების ვებგვერდიდან (Reportal.ge) ინფორმაციის წარდგენა, რომელიც დაადასტურებს საწარმოს ზომითი კატეგორიას / საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსს.

### "შრომით იმიგრანტსა და თვითდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N70 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 9 ივლისს ცვლილება შევიდა „შრომით იმიგრანტსა და თვიდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N70 დადგენილებაში. დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კერძოდ, შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების მოთხოვნა აღარ ვრცელდება საწარმოს პარტნიორზე.

ამასთან, შრომითი საქმიანობის უფლებას აღარ საჭიროებს:

- საქართველოს მთავრობის წევრის წერილობითი ინიციატივის საფუძველზე გაცემული, მოქმედი სპეციალური ბინადრობის ნებართვის მქონე პირი;
- მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი პირი - რომლის საქმიანობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ჯამურად 4 თვეს, თუმცა არაუმეტეს საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადისა - ასეთ შემთხვევაში საქმიანობის დაწყებამდე საჭიროა ასეთი პირის დამსაქმებლის / მომსახურების ორგანიზატორის მიერ დარეგისტრირება სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში ვებ-გვერდზე - www.labourmigration.moh.gov.ge;

- უცხოელი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საჯარო დაწესებულებაში ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს სასარგებლოდ;
- უცხოელი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას სრულად დისტანციურად, საქართველოში შემოსვლის საჭიროების გარეშე;
- უცხოელი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს არარეზიდენტი პირის სასარგებლოდ, და ეს უკავშირდება საქართველოს ფარგლებს გარეთ საქმიანობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად უცხოელი მეწარმე პირია და საქართველოში ყოფნისთვის საჭიროებს ბინადრობის ნებართვას;
- უცხოელი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სასარგებლოდ როგორც მმართველი/დირექტორი ან აუდიტის კომიტეტში;
- ის უცხოელი, რომელსაც მიენიჭა საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება;

თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი საქმიანობის მოპოვების მიზნით განაცხადის წარდგენა იკრძალება მინდობილი პირის მიერ;

თვითდასაქმებულ უცხოელთან ვიდეოგასაუბრება, რომელსაც მოიცავს შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების პროცესი, ტარდება მარტოოდენ ინგლისურ ან ქართულ ენებზე.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ დამსაქმებელს სურს 5 უცხოელზე მეტი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა აღემატება მასთან დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობის 5 პროცენტს (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც 5% არის 5 ადამიანზე ნაკლები), დამსაქმებელს ესაჭიროება დასასაქმებელ უცხოელთა წლიური მაქსიმალური კვოტის შეთანხმება. აღნიშნული კვოტის გაზრდა შესაძლებელია დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, ხოლო კვოტის აუთვისებლობის შემთხვევაში კვოტა შესაძლოა შემცირდეს მომდევნო წელს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

*საქართველო, ქ. თბილისი,*
*ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,*
*სართული IV, ოფისი 28*

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

**www.nplaw.ge**

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS